

1871

5-2

1871 №3, 8

ცისკარი.

1871

მარტი

21

წელიწადი მეთხუთმეტე.

წოდებათსულებათა:

- I.—სიტუა. თქმული გრიგოლ ენაკლოფოვის მე-
ულლის დასაფლავებაზედ. კ. კოლუბანსკისა.
- II.—იერუსალიმისკენ მოგზაურობა.
- III.—ვარანცოვის ძეგლსა. კნ. ვკატორინე ერის-
თავის ლექსებითგან.
- IV.—ლუკიანე. (მოთხრობა.)
- V.—სსუა ღ სსუა ანბავი. კ. ბერძენოვისა.
- VI.—რამდენიმე დარბევა ერძის აღსწოდისათჳს. . . .

ტფილისს.

მარტირუსიანის ტიპოგრაფიაში.



11635

ს ი ტ ე უ ა

ჩემის მეგობრის გრიგოლის ენაკოლოფოვის მეუ-
ღლის დასაფლავებასედა. ნათქვამი კოსტანტინე კოლუ-
ბანსკისაგან 3-ს მარტსა 1871 წელსა.

გთხოვ მოისძინო რამოდენიმე სიტყუა, შენის მწუ-
ხარის გულითა მძაო ზ მეგობარო გრიგოლი!

28-სა წარსულსა თვესა, განგმორდა შენი უსაუვა-
რელესი ზ უძვირფასესი ცოლი ამ ქუჩუნით ზ დღესა
მიეცა შავსა მიწასა შინა; მას აქეთ ჩვენურგა შენს გუ-
ლში საშინელი ცუცხლი, რომელიც არ გაქრება მანამ
ცოცხალ ხარ.

გამოცდილი ვარ მძაო; საშინელი, სახარელი ზ
მოულოდნელი მწუსარება მოგაუენა ეოვლად შემძლე-
ბელმა ღმერთმა, რომელიცა მნელ-არს გარდასდა ამ სა-
შინელის მდგომარეობისა.

ნუ გიკვირნ მძაო, ამისთანა მსწრაფლი ზ მოულო-
დინებელი უბედურობა, რამეთუ სიცოცხლე კაცისა არ
არის დამოკიდებული ჩუწნ სედა, არამედ არს მაცხო-
ვარსედ იესო ქრისტესედ.

მაშასადამე უნდა აღსრულდეს ნება მისი!

ვიცი მხოლოდ, შენი მწუსარება ძლიერია, მაგალითი გვევაფს თუთ მაცხოვარი, რომელმანცა ამისთანა მდგომარეობაში, თუთონაც ვერ გასძლო ცრემლის დაუღვრელობა, მხოლოდ მანვე მოგვცა ჩვენ ნუგეში, რომელმან სთქუა: „სიკუდილი ქრისტიანეთათჳს არს განსვენება.“

ვერძნობ მეგობარო ჩემო, რომ არაფერი მწუსარება არ დაადნობს ღმრთობას და არ დაჰკნობს გულის კაცისასა, როგორც განმორება საუკუნოთ თავის საფარლის ღმრთობის ფასისის მეუღლესთანა ღმრთობა მისი შავსა მიწასა შინა.

როდისაც ახლად შესვენებული უმანკო ღმრთობისანი გვაძი სოფიო, აბარებდა სულსა თვისსა წმინდათა ანგელოზთა, რათა მათ წარუდგინონ წინაშე უფლისა ღმრთობისა გესალმებოდა შენა ვითარცა საფარელსა ღმრთობისსა ქმარსა, მაშინ გაბარებდა ნუგეშად ახლად შობილსა მესა, დასამტკიცებლად სიფარულისა მისისა, მსრუნველობასა შენსა, მაშასადამე ეს ბოლო მისი ანდერძი უნდა იქონი შენთვის დაურღვეველი, ამის გამო, უნდა შეიმსუბუქო შენი მწუსარება, რამეთუ აღუსრულო თხოვნა შენის უფარულისის ცოლისა; რადგანაც მწუსარებით არა არს შესაძლებელი არა კეთილის საქმისა აღსრულება.

ვარდა ამისა, მიმხედველი მოხუცებულთა მშობელთა შენის მეუღლისა, ვაღიბებულთა გეოფს ქრისტიანული წესი ღმრთობის მათი, აღიმსუბუქო მწუსარება შენი;

ის ღამეს ჩუწნსუდ ახლოს. აქ მივხვდი, რომ არაბებმა ვერა გაგვიბედესრა, თურმე ეს იყო მისესი.

შუადღე რომ მოახლოვდა, დავხედე კარტას, რომელიცა თან დაქონდა ზ დაუწეე ვეღრება ჩემს წინამძღვარს, თუ რათ შეგვიძალა ესა ზ მიგვცა ამისთანა განსაცდელსა. ის ფიცულობდა, რომ სრულებით არ ფიცოდი, თუ აქ მღვიმეში მცხოვრებლები იქნებოდნენო, როდესაც შევამოწმე კარტა ჩუწნ მოგზაურობასთან, ვნახე რომ იმ გზითგან, რომელ გზასედაც უნდა გვევლო, თრი დღის სავალსედ ვიეზუით; ვნახე რომ იმ სღვასთან ვიეზუით ახლოს, რომელსაცა გეოგრაფია უწოდებს მკუდარ სღვასა. სწორეთაც ისე იყო, ამისათვის რომ, რამდენიმე მინუტის შემდგომს დავინახე შექურუთებული სღვის სივრცელე.

ჩუწნ მიველით სღვის კიდესედ, რომლის განუსახდურელი სივრცელე მივიდოდა შორს სამსრეთის მხრისაკენ. ვადავაჯლე თვალი გარშემო ზ ვნახე, რომ დამაფიქრებელი ნანგრევი გორაკები აქა-იქ, თითქოს შეწყუხებულის სახით განიხნოდნენ; სედ არაფითარიმე მცენარის კვალი არ მოიპოვებოდა ისე მწარედ გაფხეკილი იყო; რომ შევხედე, მეტად დამანაღვლიანა; როდესაც მომაგონდა ამ გორაკების ქვეშ ჩანთქობილი სოდომკომპორი, არც ერთი მწერი არსად მოიპოვებოდა; არსად არ ისმოდა არა ვითარიმე ფრინველის ხმა; არსად არ მოიპოვებოდა ერთი მცირე ბალახი; ან ლერწამი რამე, თითქოს რომელიმე ცხოველის დასაცინავად,

იორდანის მდინარისაგან გარეული ხეები, უცნაურად მდებარენი, შტაბს გამხმარნი მისი სიცხოვლისაგან, აქა-იქა, როგორც გამხმარი კაცის ძელები.

ჩუტუნ გავემართენით იორდანის მდინარისაკენ, რომელიცა ჩამოუდიოდა ამ უდაბურს ვრცელს უხაყოფო მინდორსა. ეს მინდორი ჯერ სწორედ მეჩვენა ზე რამდენიც მივდიოდით, იმდენი ვხედავდი რომ უცნაურად ჩახრამულები ზე ხე-ხუები იყო. მეტი გზა არ იყო, უნდა გვევლო წენარს ზე სიბრთხილით, ამ მინდორსედ უგზო უკლოდ. ბოლოს დავადექით რაღაცა გზის მკვასვსა, რომელიცა მიდიოდა მდინარე იორდანისაკენ. როდესაც მიველეთ მდინარის კიდესედ, ვნახე რომ ეს გზა, მდინარის გაღმა მსრიალათა მიდიოდა. წვიმების გამო კასვლას არ შეიძლებოდა, მეტადრე სახალისიან ცხენებისათჳს. ვიფიქრე, იქნება იმ შესართავში შევიძლო კასვლას, სადაცა მდინარე იორდანე ერევა მკუდარ ზღუამიან მეთქი ზე ამ ფიქრით გავემართე იმ მსრისაკენ. ამ სიარულში, ხე-ხუებში, ქვიშიან ალაგს დაგვიღამდა. მეტი გზა არ იყო, ერთის ხევის თავსედ ჩამოვხდით, მაგრამ რას იტყვით, არსად არ იყო ფიჩხი, გინა ძემვი, ზე არა თუ ფიჩხი ზე ძემვი, ერთი ღერო გამხმარი ბალახიც კი არსად არ მოიპოვებოდა. სასახლობა იყო საშინელი. ცხენები გვეხანდნენ მშვიდ მწუროვალ ზე ჩუტუნ არაფრისთანა საჭმელი არა გვექონდა რა ერთი ნაჭერი გამხმარი ვველის მეტი. უცეცხლოში უნდა ვყოფილიყავით იმ ღამეს ზე ამ მაღლობ ალაგს კვიბურავდა ცივი ქარი.

დილით, დამტვრეულ დახეილნი რა წამოვდექით & გავწიეთ იორდანის მკუდარ სღვაში შესართავისაკენ, იმ ფიქრით, რომ ვინაჲნიდით თხელს მელისანს ალაგს, რომელშიაც შესამღებელი იქნებოდა გავსულიყავით. მაგრამ შესართავი ალაგვი რომ დავიარე, შევშინდით მეტად, ისეთის სისწრაფით ერთობოდა სღვასა & ისეთი ღრმა იყო. ორი იმედილა გვექონდა დარწმობილი, ან უნდა ჰარომი გაცვეკეთებინა & ისე გავსულიყავით, ან არა & ისევე უნდა უკან დავბრუნებულიყავით, იორდანის თავს გავსულიყავით & გაცვეკლო უკანვე იმ ძველს სიდესედ, წყუღმა ნასარეთელმა რომ შეგვაცდინა & გამოგვიყვანა. ჰარომს როგორც იქნებოდა კიდევ გავაერთებდით, მაგრამ ჯერ ერთი ესა რომ იარაღი არა გვექონდა რა, ამისათვის რომ სე არსად არ მოიპოებოდა & მეორე შიშშილისაგან უუათი სრულებით გამოგვეღია. ჩემს მოსამსახურეებში ერთი ჩინებული ფოთაქცვევის ბერძენი ვრია, რომელსაცა ერქუა დიმიტრი; ამ განწირულებასი რომ მნახა, ძრეულ შეწუხდა & მიწიყუდა ნასარეთელი წინამძღომელი ჩუწნი მოგვეკლა, თუ რად გაცვიჭირა ასე საქმე. რასაკვრველია ამ რჩევას არ მივიღებდი & ეს კი მოვასდინე, რომ ამის შემდგომს ნასარეთელი განვაძიე & წინამძღომელობის ალაგვი დაულოცე დიმიტრისა.

ამ გაჭირვებაში რომ ვიყავით, ავდექი & გაჯავრებულმა მკუდარ სღვაში ვიბანე, მაგრამ ისეთი სუნი ქეონდა, რომ დამაოსა & ცოტა გაწედა გულს არ შემიწუხა. როდესაც გამოველი, მინამ ფესს ხმელსედ გამოვდგამდი

შის სიცხოველემ კიდევ გამიშრო ტანი ზედ ერთი თითის სითხე მარლი შეასმო; რის უოფით ზე ანბით ეს მარლი მოვიშორე.

IV.

შეწესებულმა ზე დაღონებულმა ისევე იორდანის სამსრეთის მხრისაკენ გამოუხვიე. დიდ ხანს მოვიდოდით ზე რა ერთი ცოცხალი ცხოველი არსად შეგვხვედრია, ვუქრობდი, რაც რამ უოფილა, სრულებით გაურეკიათ აქედანა მეთქი. დასავლეთის მხრისაკენ მიმდინარეობდა იორდანე; აღმოსავლეთისაკენ არიკებული იყო უნაუო-ოო ზე უოველს ქუწენიერს მოკლებული გორაკები; სამსრეთისაკენ ვრძელი სღვა, რომელსაცა ეწოდება მკუდარი, სადაცა თავის დღეში არ მოხვედრია ზე არცა მოხვდება მებადური კაცი, ამ სიარულში, ამ უდაბურს ალაგს, წარმოიდგინე მკითხველო, როგორ განვიკვირვებდი, როდესაც რომ შემომესმა უცებ ვირის ეროყინი, ამ დროს ვველახედ წინ მე მოვიდოდი, ცალ მხარეს მომიდებდა დიმიტრი ზე მეორეს მხარეს ნახარეთელი, რომელიცა მორიდებით მოდიოდა, თითქოს მიხვდა დიმიტრის მუქარასაო. ვირის ეროყინი რომ გავიგონე, იქითკენ გავეწიე, ამისათვის რომ, სადაც ვირი არის, იქ უეჭველია კაციც იქნება, ბოლოს მივაღექი ერთს ხვესა ზე რა ჩაველი, დავინახე არაბების ბანაკი, დავინახე იმათი შავი

ღ დაბალი კარები, რომლის გარშემო ირეოდნენ კაცები, დედაკაცები, ემაწვილები.

ჩემი მოსამსახურეები უკან დარჩნენ, მაგრამ იმ იმედით რომ ჩუქნის ცხენების კვალზედ მოგვფანობდნენ, მე სინარულით ზე კაბედეით მივიდიოდი კარებისკენ. როდესაც მიველი რომელიც ასლო კარავი იყო იქა, ვნახე ფიხნის კალავანი შემოველოთ წინა. ოცი თუ ოც ზე ხთი კაცი, კარგად ეოჩალები გამოცვივდნენ გარეთ ჩემს მოსაკებებლად, ყველანი ივენენ შავის კანისანი ზე სოვნი მიღრეჯილ-მოღრეჯილ სახისანი, ისინი ჩაცმულები ივენენ მსოლოდ ჰერანკებით, ზე სარტელად ერტუად ტუავი.

რა მივადექი ღობეს, ჩამოველი ცხენითვან. იმათში რომელიც უფროსი იყო, ანუ ვთქუათ მამასახლისი, მოვიდა, კელი ჩამომართო, ჯერ მაკოცა ზე მერე თავისი კელი შუბლზედ მიიღო, შემოევანეს კარავში ზე მაშინათვე დამსვეს ცხვრის ტუავზედა. კარავი იყო მოგრძო ზე ვიწრო, იმდენი კაცი ზე დედაკაცები ივენენ შივა, რომ ვიწროობისავან ერთმანერთს ასხდნენ. მე ჩემს ალავს მაგრა ვიჯექი ზე მამასახლისი რადასაც ნიძნებით ჰატოვის-ცემას მიცხადებდა. ამდენი ხალხი ირეოდა ჩემ წინ, როგორც დედაკაცები, ისე ემაწვილები, თავშიშველა ზე ფესშიშველები, დედაკაცებმა მომიტანეს ნალები ზე რძე, რომელსაცა მივარდი, როგორც სამი დღის დამშეული კაცი.

ერთი მინუტის შემდგომს ჩემი ამაღაც მოვიდა.

საწუხლი დიმიტრი, მე რომ მნახა ცსვრის ტეავსედ მო-
კეცილი, ისე გაჭკვირდა, რომ ერთის სიტყვის თქმაც
ვეღარ შეიძლო, ის სრულებით დაწმუნებული იყო
რომ, ღმერთმა მიგვცა საშინელს მტაცებელთ არაბების
კელსა.

ნასარეთელს ქისა საესე ჭქონდა თამბაქოთი, ეს
რომ შეიტყეს არაბებმა, მრთელი იმ ბანაკის არაბები
შემოესვივნენ გარსა ზ სტუუებდნენ ამ კეთილ-სურნე-
ლოვანს მცენარესა, იმათმა სასიზღარმა ქცევამ იმათ-
სედ ეჭვში შემიყვანა. მე შევნიშნე, რომ თავიანთ სი-
სარმაცით, ასე ღატაკად იყვნენ, ამისათვის, რომ კაცი
ამისთანა ჭავაში იდგეს ზ თანბაქო არა ჭქონდეს, ზირ-
ველი თანბაქოს ალაგია, ეს უდაბური ქვიშიანი ადგი-
ლი, მაშინვე მომიყიდა ფიქრად, რომ ჩაუვარდი კელში
მტაცებელთ ზირუტეუთ, რომელთაცა მიეღოთ განათლება
ხემის ხემოდენითგან, რა ძალათი წამართმევდნენ რაც რამ
შივ ქალაღდები მქონდა. ამან უფრო დამაფიქრა, რომ
არც ზური გვითავასეს ზ არც მარლი, ნიშანი სტუმა-
რთ მოუვარეობასა ზ მშვიდობიანობისა, მაგრამ რო-
გორც მერე გამოჩნდა, თურმე ზური სრულებით არა ჭქო-
ნდათ ზ ზურის ნაცვლად სჭამდნენ რაღაც ბალასსა.
ეს ბალასი მეტი გვა არ იყო, მეც უნდა მეჭამა. იმ
ბალასს ნოუიერება არა აქეს, მბგრამ გემოიანი ბალასი
კი არის, რადგანც სიძეავე მოიპოვება შივს, ისა ჭკავს
მქაუნა მცენარესა.

V.

დიმიტრიმ დაუწუო ლაპარაკი ჩუქნს სახლის ჰატ-რონს, თუ როგორ უნდა გავვევანეთ მდინარე იორდანეში, მე ჩემს მთარგმნელს დიმიტრის საქმეში არ ვეროდით ამ გვარ შემთხვევაში, რადგანც არაბული ენა არ ვიცოდით, ისიც რასაც უნდოდა ისე იცრუებდა, მაგრამ უველას, ჩემი ერთგულებისათვის, ლაპარაკში შევატყუე, რომ იბრაღიმ ფაშას სშირად ასსენებდა, ბოლოს შევიტყუე რომ, თურმე იმათ ატყუებდა, ვითომც იბრაღიმ ფაშის დიდი მეგობარი ვიყავი მე & თუ ისინი კარგად მომექცეოდნენ, მაშინ იბრაღიმ ფაშა, იმათის თემის ბძანებელი, იმათ დიდს მფარველობას აღმოუჩენდა. რამდენიმე კვირის წინად, იბრაღიმ ფაში, გამოსულიყო თავისის ცხენოსან ჯარით იორდანეში & ამასობაში ამ უბედურს არაბებს წამოსწედომოდა. ცხენოსან ჯარს, რაც აქლემები ჰყოლოდათ ამ არაბებს სულ ერთიან წაერთმიათ, ამასთანავე სსუა ქანებაცა, ერთის სიტყვით სრულებით აეკლოთ; ამას გარდა, გამოვევანათ ეს მცხოვრებნი, & ათხედ ერთი დაესრნოთ. თქუქნა კკონიათ მკითხველო, ამის გამო, როგორც შეწუსებული ხალხი, მე, ფაშის ტუვილ მეგობარს, ჰატივს ამერიდენ? სრულებით არა! ამ გვარ ქცევას, იმათში უფრო სიუწარული დაენერგა იბრაღიმ ფაშასი. აზიის ხალხის თხსება ეს არის.

დიდი ხნის რჩევის შემდგომს, დათანხმდნენ არაბები, შვიდმეტო კარვა ეოხალი არაბი წამოკვეუვა თანა. რამდენიმე მოხუცებული კაცებიც წამოჭყუნენ იმათ თანა, როგორც უფროსები, იმათი მამასახლისი ალი ჯეირანა, წინ მიუძღოდა. როდესაც ბანაკითგან გამოვიდოდით, იმათ გადაისადეს ჰირველად საღმრთო წესი; მალმალე კელს მალლა იშვერდნენ ზ ვინ იცის რას ანობდნენ, ეს არაბები მაჭმადები არიან, მაგრამ სიმტკიცეზედ კი უკაცროდ ბმანდებიან.

ბოლოს მოვედით იორდანის კიდევად; წყალი იყო ჩქარი. არაბებმა იფიქრეს გაუვანა ჰარომით, უცებ ამოდნა არაბებმა შექნეს ვვირილი, უთანხმოება; თურმე ნუ იტყვიოთ ეს რჩევა ზ უთანხმოება ჭქონდათ ჩემ ცაცრცენასედ. ამასობაში გაიარა ორმა საათმა, მე რას შევიტეობდი იმათ ენას ზ არც დიმიტრის ესმოდა, ამისათვის რომ ისინი არაბულათ კი არა ლაჰარაკობდნენ, ისინი ლაჰარაკობდნენ თავიანთ მთის ხალხის ენასედ.

ამ ეჯანის დროს ვიჯექი მე, ბარკთანა. შიმშილისაგან ისე შეწუსებული ვიყავი, რომ იმათი დარდი არა მქონდა. ამ დროს ფიქრად მომივიდა, გამეწმინდა ჩემი ექვს ლულიანის რეოლიერი, დაუწეე რა წმენდა, ხან ჩახმასს ვაცემინებდი, ხან მალლა ფესზედ შევაეუნებდი. — ამ ჩემა დამბახის წმენდამ, იმათი ეჯანი როგორდაც დააცხრო, იბრადიმ ფაშას ეს სიკეთე ექნა ჩემთვის, რომ რაც ამ არაბებს თოფიარადი ჭქონდათ სრულებით წაერთმევა, მაშასადამე, ცარეელის კელით ჩუწნ ესენი

ვერას დაგვაკლებდნენ.

დიმიტრიძა აღუთქმება იმათ, თუ მშვიდობით გადა-
იფხანთ იორდანესი ამათ ზე ჰატუისცემით მოექცევით,
მაშინ ვთხოვ მოკცეთ (ტესკერი) მოწმობა ანუ ატტეს-
ტატი, თქუწნ კეთილ ქცევაზედაო, ისეთი ატტესტატი,
რომ იბრადიმ ფაშას აჩვენოთ, დიდი მწეალობელი შე-
იქნება თქუწნიო ზე ამას გარდა ფულით საჩუქარსაც
გავირიკებთო. — ეს ამათ იამათ ზე ფულის საჩუქარს
იმდენი უურადლებს არ მისცეს, რა უურადლებსც მისცეს
ტესკერის, ესე იგი ატტესტატს. ამ ატტესტატმა უოვე-
ლი ბოროტი იმათი ფიქრი დასთრგუნვა.

რჩევა დაიძალა ზე არაბები მოვიდნენ ჩემთან, რო-
მელსაცა მოცნიდნენ, ზოგნი კელსედ, ზოგნი ფესხედ
ზე ზოგნი სადა.

ამის შემდგომს შეუდგნენ საქმესა: მოიტანეს ტიკები,
რომლითაც ეზიდებოდნენ შინისათვის წეალსა, დაბერეს,
გადააბეს ერთმანერთი ზე შეადგინეს ამ კვარად ტივი,
ამასედ დაწვეს ჩემი ბარგი ბარსანა ზე შეიტანეს სი-
ბრთხილით წეალში. თორმეტი არაბი გაშიშვლდა ზე წელ-
სედ შემოირტეეს რა გაბერილი ტიკები, მიუძლოდნენ
წინ ცურვით; ამ სახით ექუსი არაბიც ცურვით უკან
ტივს კელით მიაცურებდა. ამოდენა არაბებს ქქონდათ
ერთი ვვირილი, ჯერ ეს ტივი წენარა მიცურავდა
წეალში, ამისათვის რომ საშიშს ალაგს ჯერ არ მისუ-
ლიყო.

მოხუცებულები, გრძელი თეთრ წვეროსნები, რომელ-

ნიცა იდგნენ ჩემს ახლოს, ევიროდნენ აგრეთვე, უბძანებდნენ მცურავეებს, ამსწევდნენ, ბოლოს მივიდა საშიშს ალავსა, აქ შექნა ტოკა ტივმა, მიღრიჯა-მოღრიჯა, აქედან მოხუცებული არაბები კვლს უქნევდნენ, უევიროდნენ ჭ რომ უფრო გაემსწევებინათ მცურავეები, ახსენებდნენ იბრადიმ ფაშასა; რა გადაწია საშიშს ალავს, გაიტანეს შერე მშვიდობით.

უკან დაბრუნეს ტივი, დანარჩენი ბარგიც ამავე სახით გაიტანეს. მინამ დაღამდებოდა სულ ერთიან გავიუვანეს გაღმა. მეორე დღეს დაუწერე ატტესტატი ამ არაბებს ჭ მივეცი საჩუქარი ალიჯერიანსა, იმათ მამასახლისსა.

ორი თუ სამი დღის მკსაჯრობის შემდგომს მიველი რინიაში, რომელიცა როგორც ისტორიკები გვარწმუნებენ, აღშენებულია ნაცვლად ძველის იერიონისა.

მზის ჩასვლისას მიველით წმინდა საბას მონასტერში, სადაცა იმ დამეს დავდექით.—

— იმ მცხეთის ჭ ამისთანა იცნა იმ მცხეთის მცხეთის

— იმ ჭ დღესინა ითხო იტყოს იმ მცხეთის მცხეთის

მცხეთის იმ იტყოს იმ მცხეთის მცხეთის

მცხეთის იმ იტყოს იმ მცხეთის მცხეთის

— იმ მცხეთის მცხეთის მცხეთის მცხეთის

— იმ მცხეთის მცხეთის მცხეთის მცხეთის

— იმ მცხეთის მცხეთის მცხეთის მცხეთის

— იმ მცხეთის მცხეთის მცხეთის მცხეთის

— იმ მცხეთის მცხეთის მცხეთის მცხეთის

— იმ მცხეთის მცხეთის მცხეთის მცხეთის

(სოვი შემდგომში იქნება.)

გარანციის მეგლსა.

კნ. ეკატერინე ერისთავის ლექსებითგან.

კავკასის ერნი აღუმართვენ აქ სასსოვარსა,
კაცსა ჩინებულს თვსებითა სწორ უპოვარსა;
მშვიდსა, მდაბალსა, მართლ მსაჯულსა, უხვს ღმობიერსა,
დაჩაგრულთ მფარველს, მოწებლესა ზ სახიერსა.—

ამან დაბეჭდა მრავალთ გულზედ ღრმად სიუქარული,
ღ თვის მოსვლით მიმოჭუინა აქ სისარული,
მრავლის კეთილით მოიხიდა, ვინც ქართველთ გული,
თვთ ის გვექნება საკელობით გულს დასასული.

მისნი ნაშრომნიც ამტკიცებენ მისსა დიდებას,
რომლის აღწერით ველარ დაუტევთ თვთოეულს ქებას,
მხოლოდ ვსთქუათ მარტო ვითა ერნი ჭევა შეტკობილნი,
მისს განმორებას ესრედ სწუსდნენ ვით ნამდვილ შვილნი.

მისედეთ მეგლსა ნაცვლად მისსა აღმართებულსა,
ილმეთ, აჩვენეთ ერთგულება განსვენებულსა,
ჩუჭნს კეთილ მოქმედს ესე გრძობა ცრემლით შეფუიცოთ,
მის მამობრივი სიუქარული მით დაუმტკიცოთ,

ვარ ამ სახინოს კაცის ღვაწლთა აწ მომთხრობელი,
 ნიჭ საფსე სრული, მალალ მსედი იყო რომელი,
 ცოტას ძლივს აღწერ ურიცხვისა საქმის მსსომელი,
 ვინც სასარგებლოდ ჩუჭნის ქუჭუნის იყო მშრომელი,

განგებას მოწმად კეთილობის მეც აქ მოვეყვარ,
 ვინც ვაღდებული მარად ლოცვის აწ მეკლთან ვდგევარ,
 მისგან სიკუდილით გამოხსნილსა მსურს მის მოხვევა,
 ღ სახსოვარის მაღლობისა ზედ ცრემლთა ფრქვევა.

მუსო მოძრეთ მომეხსენით,
 ძალი თხრობისა უურს შთამბერენით,
 გულისა გრძნობა გამოვსთქუა ენით,
 მოჭფრინდით ღრუბლით, მომეხმარენით!

მსურის აღწერდე მე იმა ადგილთ,
 სად განგებისგან ვსჭვრეტ წარმოდგენილთ,
 მისთვის რომ ზრდიდნენ ესრეთთა უვაგილთ,
 სსუათა მხარეთა იშვითად ზოვილთ.

საგანნი ჩემნი მუნა მსატრობენ,
 ორთ გვართ დიდება სადაც მკვიდრობენ,
 სად მისაზიდად აწცა შლილობენ,
 ჭ სად მას ძეკლნი აწცა გვითხრობენ.

თუთ ცაც ლაქვარდი სამსრეთის მხარეს,
 არს აღმომჩენი ესრეთის მთვარის,
 მსგავსი კამკამით მსისა ელვარის,
 განმასსვავებულ შუქით ამ არის.

თითქოს აწ ვუმხერ მე იმა სასეს,
 ნამდვილ უმანკოს სულისა სარკეს,
 სატროფოს, მშუჭნიერს ეშითა სავსეს,
 ჭ საროს მსგავსსა წელის სინაზეს.

თითქოს ვჭკვრეტ უცხოს იმ კაბით მორთულს,
 ჭ ოქრო ქსოვილს თავსე მოხვეულს,
 მსგავსებ ანგელოსს დრუბლითა მოსულს,
 სათნოებისთჳს კელ გვირგვინ დადგმულს.

ყოველსა მაღალს აღბეჭდილობას,
 შთამამავლობას, დიდებულებას,
 ვსჭკვრეტ მენში ამა ნიჭიერებას,
 ჭ მივეცემი მსიარულებას.

შრომა ეს მცირე შენის მასლობლის,
 მიიღე ნიშნად ამ მკრმნობელობის,
 მაქუნდა სურვილი შენისა მკობის,
 მაგრამ არა მაქუეს აწ დრო განკრმობის.

9-ს იუნისს.

1859 წელსა.

ქ. კორი.

ლ უ ბ ი ა ნ ე .

(მოთხრობა.)

ქუჭყანა ანობს ჭ ან რა საჭირო არის თქუან, როდესაც რომ უველამ იცის, ვინც კი მწიგნობრობას მიხედვს, რომ მოთხრობა იწერება ხალხის ცხოვრებითგან.— მხოლოდ ეს არის მნელი, რომ ისე კაფიეთად ვერ გამოიტანს მწერალი, ხალხის ხასიეთებს, როგორც საჭირო არის კარგის მოთხრობისათვის; ამისათვის რომ, ბევრი იმ კვარი ნაკლულეუანება არის, რომლის გამო-აშკარება შეუძლებელია „მიხეხებისა გამო სხვისა ჭ სხვისა“ რომ მწერალმა როგორმე მოახერხოს, ჭ ზოგი ერთნი ზირნი კეთილკაცობით სავსენი, თავის მოთხრობით საქუჭენოდ გამოიუვანოს, ის მოიგონებს ან უცხო ქუჭყანას, სადაც ანბავი მომხდარა, ან ცრუ სახელებს, რომ ეგები ამითი მაინც ნება ჭქონდეს იმის კალამს; ამ მიხეხით არის, ზოგჯერ მწერალი რომ კისრულობს შეუსაბამო წოდებას.— ამ კვარად ჩუჭნი „ლუკიანე“

არის დაწერილი, ამ მოთხრობაში, თუმცა იქნება ფანტაზიად ეჩვენოს მკითხველს, მაგრამ სრულ სიმაძრეთლესა ჭპოვებს, — მაშ აბა შეუდგეთ ამ ჩუქნს მოთხრობას, ნამდვილად მომხდარს ზე დავიწყოთ იმ იმედით, რომ ქართულნი მკითხველნი ეურს მომიპყრობენ გულს-მოდგინებით:

სწორე მოგასსენოთ მე უკუნური, ანუ ცხადათა ვთქვათ სულელი კაცი არა ვარ, უნდა გამოტყნათ მოგასსენოთ, რომ მე მისწავლია ათინაში, — აბა კარგად იფიქრე ჩემო მკითხველო, ეს დიდი საქმე არის თუ არა? მე იქ ვისწავლე უოველის ფერი, რაც კი რამ სამეცნიერო წიგნები არის ზე ვმადლობ იუნიტერსა, ახლა შევიქენი გამოჩენილი კაცი ჩემნით გამოცემულის თხსულებების გამო. თქუენ თუ არ მიცნობთ, ეგ ჩემი ბრალი არ არის, ამისათვის რომ თქუენ მაგდენს არას კითხულობთ ჩუქნს ენახედ დაწერილსა; რომ გუკითხნათ, შეიტყობდით, რომ მე ლუკას (ჩემი საველი ეს განლაგეთ, გვარს კი არ მოგასსენებთ) დამიწერია ფილოსოფია, ისტორია ძველის ხალხებისა, ენების შთამომავლობა, მე განლაგართ ბატონო თუ უკეთ მოისსენიებთ, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, რიტორი ზე გრამმატიკოსი. სსუა რაღა გინდათ! გარწმუნებთ, სსუასედ ნაკლები მე არა ვარ. ამაოდ მიწმუნება, ჩემში, როგორც მსწავლულს კაცში, სრულებით არ მოიპოვება, მაგრამ, აი როგორი დაუჯერებელი შემთხვევა მომეცა ჩემს ფილოსოფიურს ცხოვრებაში.

ამ დაუჯერებლის შემთხვევისათვის, რომ არა მეო-
ლოდა ექქსი ათასი მოწამე, ვერ გაუბედავდი გამოქვა-
კარებინა.

მე ვმოგსაურობდი ქესალიაში, ჩემი შინაური სა-
ქმეებისა გამო; ერთი ცხენი მეც მატარებდა და მრთელს
ჩემს ბარკიბარსანასაცა, გსახედ შემსვდნენ რამდენიმე
მკსავრები, რომელნიცა დაბრუნებულ იყვნენ იზატის ქუჩ-
უანაში, სადაურებიც იყვნენ. გსახედ ამ მკსავრებს გა-
უამსანავდი და სმა და ჭამაც ერთადა გვეკონდა; მსიარუ-
ლად მივდიოდით იზატისაკენ იმ ჯოჯოხეთის გზით,
რთმელიცა მდებარეობს მშუწნიერს ცესარების სამეფოში.

როდესაც მიუახლოვდით ქალაქსა, ჩემს ამხანაგ
მკსავრებსა ვკითხუ, სომ არ იცნობთ იზატაში მცხოვ-
რებს მოქალაქეს იზარსსა მეთქი. ამასთანავე ესეც უთ-
ხარი, რომ მეკონდა იმასთან წიგნი, რომელიცა მე თი-
თონ ზირის-ზირ უნდა მიმეცა. სწორე მოგახსენოთ, იმა-
სთან ჩამოსდომაც მინდოდა.—

—იზარსას ვინ არ იცნობს,— მომიგეს იმათ. აკერ
იმიანი სახლი, რამწავს შესვალ ქალაქში, იქავე შესავა-
ლში. იზარსი, ძრეელ მდიდარი კაცია, მაგრამ მეტის-
მეტად ბუნწი. სახლში რაც კი რამ თქუა, ეოვლის ფერი
აქუეს, მაგრამ მარტო ცოლქმარნი სცხოვრებენ და ერთიც
კოგო ჭყავთ. ასე სცხოვრებენ, როგორც მკლები. იმათ-
ხედ ქალაქში ბუწის ცუდს ღაზარაკობენ, ძრეელ საში-
ში სალსნი არიან ისინი!

ამ ღაზარაკში რომ ვიყავით, მიუახლოვდით კიდევც

ერთს ჰატარას სასლსა, რომელსაცა ჰქონდა ბაღჩაცა. აქ იღვა იპარსი. გამოვეთხოვე ჩემს ამხანაგ მგზავრებს ზე გავმორდით ერთმანერთსა. ისინი შევიდნენ ქალაქში, მე შეუსვიე იმ სასლსა.

დავარახუნე რაც ძალი ზე ღონე მქონდა კარი. დიდს ხანს ვიდექი, კარსედ არავინ გამომსედა, ბოლოს გამოვიდა ერთი ასალგაზდა გოგო.

— შინა ბძანდება იპარსი? ვკითხე მე.

— შინ არის, მომიგო იმან, — შენ ვინა ხარ? რა გინდა?

— წიგნი მაქვს იმასთან ჰატრასის ქალაქითგან, ჩემის ძმისაგან, სოფისტის დეკრიანესაგან.

— მოითმინე აქ ცოტა ხანს, მითხრა იმან, უცებ შეტრიალდა ზე კარები მომიკეტა.

რამდენიმე მინუტის შემდგომს გოგო გამოვიდა ისევე ზე შემიფანა შინა. როდესაც ვნახე იპარსი, მივეცი წიგნი. ეს ისე მოხდა, რომ სწორეთ ვახშმის დრო იყო, როდესაც შეველი, ვახშამსედ, თავიანთ ქუჭუნის ჩვეულებით, იპარსი კი არ იჯდა, იწვა ზე ისე სჭამდა ზურსა, ცოლი საკმაოდ მშუჭნიერი ქალი, ოც ზე სუთის თუ ექვსის წლისა, მხარბეჭიანი, როგორც არიან ბერძნის ქალები, დიდრონი შავ თვალ წარბა, იწვა აგრეთვე ქმრის კვერდით, წინ გაშლილი იყო სუფრა, რომელსედაც არაფერი ეწყო ჯერა. როდესაც იპარსიმ წაიკითხა წიგნი, სთქუა შედიღურად:

— დეკრიანე მიძახნია ელინებში უპირველეს დირ-

სეულ კაცად. ჩემთვის ძრეულ სასიამოვნო არის, რომ ჩემთვის მოუნდვია თავისი ძმა. აი ჩემი სახლი, ღუკავ; რასაც ხედავ ეს არის; მართალია ჰატარაა, მაგრამ კეთილის სტუმრებისათვის, ვოველთვის მოიპოვება აქ კუთხე. თუ რომ აგრეთს წეალობას გვიხამ ჭ ინებებ ჩუწნთან დადგომას, შენის აქ ეოვნით სახლს სიდიდე მოემატება.

ამის შემდგომს დაუძახა კოკოს.

— ჰალესტრა! მოუმხადე ცალკე ოთახი ჩუწნს სტუმარს; შეიტანე იქ, რაც რამ ბარგი აქუს ჭ ესეც მიაცილე აბანოში, დიდი გზა გამოუვლია.

იპარსიმ ეს რომ უბძანა, ჰალესტრამ წამიუვანა ჭ შემიუვანა ერთს სუფთა ოთახში.

— აი თქუწნი საწოლი! აქ მოსვენებით იქნებით, არ ინებებთ ჯერ აბანოში წამობძანებას.

მე მივეცი ჰალესტრას რამდენიმე მანეთი, რომ ჩემის ცხენისათვის ქერი ეუიღნა. როდესაც აბანოს კარებთან მიმიუვანა, თითონ დაბრუნდა ჩემ ოთახის დასალაგებლად.

აბანოთგან, ჰირ ჭ ჰირ შეველი იქ, სადაცა ისხდნენ ვასშამუედ. იპარსიმ მომცა კელი ჭ მეც კვერდით დამიწვინა. ტასტი, რომელზედაც ვისხედით, ძრეულ ვიწრო იყო ჭ ამასთანავე ტოკავდა, სიძველისა გამო, ასე რომ, თუშთან კელი მიმქონდა, მეშინოდა, არ ჩაწოლილიყო. ჩემი მდგომარეობა ამითი უფრო საშიში იყო, რომ როდესაც შევხედავდი იპარსის-ცოლს, ტანში ჟრუანტელს

მივლიდა. საჭმელი გვექონდა ჩინებული, ღვინო ძრეულ კარკი ზე ამასთანავე ძველი, ვასშმის შემდგომს, როგორც იქ ჩუქნულუბათა აქქსო, ვსჯამდით ღვინოს ზე ვსაუბრობდით, ისეთი ჰერადობა გამოიჩინა იმ ღამეს რომ, დაუწიე გმობა, ჩემს მგზავრ ამხანაგებს, თუ რათ ამავს ამისთანა სტუმრის ზოგვარე კაცი. როგორც იპარსიმ, ისე იმის ცოლმა ძილოკლემ დიდი სიამოვნება მაჩვენეს იმ ღამეს.

მეორეს დღეს მკითხა იპარსიმ, თუ საით მივდიოდით, ან რამდენს ხანს უნდა დაურჩომილიყავ ქალაქში. მე უთხარი, — რომ მივდივარ ლარის ქალაქში ზე სუთ დღემდინ აქ დაურჩები მეთქი. როგორც ფილოსოფოს, ჩემ სიცოცხლეში სიცრუე არ მითქომს, მაგრამ ახლა სიცრუე ვთქვი. სუთი დღე კი არ მინდოდა, ერთს თვეს მანც უნდა დაურჩომილიყავი იქა, რომ მენახა, იქაური მისნები ზე ჯადოქრები რა კელოვნებიც იუვნენ; ჩემის თვალთ მსურდა მენახა, თუ როგორ გადაიქცევიან სოლმე იპატელები, ან მკლად, ან კატად ზე ან როგორ ფრინამენ, ფრინვლათ რომ გადაიქცევიან. მე ესენი, როგორც ფილოსოფოს, ისტორიკოსს, რიტორს ზე გრამმატიკოსს, არა მრწამდა, ზე ამისათვის გაწიე ქუჩებისაკენ ქალაქის გასასინჯავათ. იმ დღეს თითქმის მრთელი დღე ვიარე ზე მრთელს ქალაქში არც ერთი ჯადოქრობის კვალი არ შემინიშნავს: ვისთვს მეკითხნა, რომ შემეტეო რამე როგორც მსწავლულს მოგზაურს, არც ეს ვიცოდით. სწორე

მოკახსენოთ, მრცხვენოდა კიდევ მეკითხნა ვისთჳსმე. მეორეს დღეს, ჩვეულებისამებრ რომ ვსეირნობდი ქუჩებში, შემხვდა ერთი დარბაისელი დედაკაცი, სჩანდა, რომ ის დედაკაცი ზირველის ოჯახის სახლს ეკუთვნოდა. მორთულობა ჰქონდა დიდებული, თვალმარგალიტი ესხა მრავალი; უკან მოხდევდნენ რამდენიმე მოსამსახურენი. როდესაც დაუახლოვდით, დამიწყო უურბდლებით სინჯვა, თითქოს მცნობი ვარ იმისით; ეს რომ ვნახე, თავი დაუკარი.

— შენა ხარ ლუკა?

— გეფიცები ვენერას, მშუწნიერო ქალო, რომ სწორეთ მისვდი! უთხარი მე.

— შენ არ მიცნობ მე? მეკითხა იმან. მე მქვიან აგბრეია. შეუძლებელია ჩემი საკელი არ გაგკონოს! მე დედიშენის მეგობარი ვარ, რატომ ჩემთან არ დადექი, ჩემო საუქარელო შჯლო, მინამ აქ იუავი?

— დიდად გამადლობ ჩემო ბატონო. ახლაც შემემლო, გსლებოდი თქუწნთან, მაგრამ მრცხვენთან, უმიხესოთ გადმოვიდე იმ კაცის სახლითგან, რომელმაცა ჰატივით მიმიღო ზ ცდილობს ჩემს სიამოვნებასა. მაინც ზ მაინც ჩემო ბატონო, დღეის შემდგომს ჩემი კული, თქუწნს სახლში იქნება სტუმრათა.

— სადა დგეხარ? მეკითხა იმან.

— იპარსისთან.

— იმ უმსკავსო ბუნწ კაცთან?

— შეუდარებელო დედავ, თქუწნა სცდებით. ისეთი

სტუმართ მოყვარეობა გამოიჩინა ჩემთან, რომ მეტი არ შეიძლება. თქვენ აგრე მიბძანებთ, ჭ მე ასე მკონია, რომ მეტი კვლავადილი კაცი უოფილა.

უძნობმა დედაკაცმა გაიღიმა, გამოძართო კელი ჭ რა გამოყენა განსედა, მითხრა მეგობრულად:

— გასსოვდეს ჩემო მეგობარო, ერთდუ იზარხის ცოლ-სა! ის საძინელი დედაკაცია. იმის ბოროტებას, ბოლო არა აქუს. ამ ქალაქში, ჰირველი ჯადოქარია! მრთელს საბერძნეთში ჭ ქესალიაში.... ისეთი ქარიანია, რომ თქმაც არ შეიძლება. უოველს ემაწვილს კაცს თვალს უშვრება ჭ ვაი იმისი ბრალი, ვინც ჰასუსს არ მისცემს! მაძინ თავის თავს აცნობებს! თავის თვალთმაქცობით ბევრი კაცი ჰირუტევათ ვადუქცევა; სოცნი დაუსოც-ნია... როგორ?.. ამისი კი არაფინ არა იცინრა, შენ ჩემო შვილო, ემაწვილი ხარ ჭ ლამაზი; არ შეიძლება, რომ რამწავს დაგინასა, არ მოსწონებოდი. აქ უცხო ქუჭყანაში ხარ: ვინ იზრუნებს შენთვს?

ვაი შენ ჩემო თავო! მაშ ასე უოფილა საქმე! რასაც ვუძებდი, რასედაც ვუიქრობდი, ის ანბავები უოფილა ჩემს სადგომში!.. სახარულისავან ვედარა ვავიკერა, თუ რას მეტეოდა ამბრეი ჭ გამოფიქცი შინ.

ახლა, დაუოვნება აღარ შეიძლება, უნდა შევიტეო-ეს საკვრველი მისნობა; უნდა დაურწმუნებულივაგი, ჩემის საკუთარის თვალთ, რასაც ლაჰარაკობდნენ ჭ მესმოდა, მართალი იყო თუ არა? მაგრამ ისე უნდა მოექცეული-ვაგი რომ ჩემი განსრასვა არაფის შეეტეო. რადგანაც

ვეელა სახლის საიდუმლოება, შინა მოსამსახურემ იცის, ამისათვის მე ვიფიქრე, გამომეკითხა დაწერილებით, ჰალესტრასაგან; რომ უკეთ შემესრულებინა ჩემი განსწავლა, მეტი გზა არ იყო, უნდა დამეწყო ამიკობა. მერე უნდა მოგახსენოთ, ლამაზიც იყო. თუძცა რასაკვრველია, ჩემის წოდებისათვის, როგორც ფილოსოფოსისა, ისტორიკოსისა, რიტორისა ჭ გრამატიკოსისათვის დიდი სირცხვილი იყო, მაგრამ რა შექნა, სხუა ღონე რომ არა მქონდა. მსწავლეულმა, ჰსწავლის შესამსებად, ეოველა უნდა იკისროს.

ამ ფიქრებში ვიყავი, შინ რომ მოველი, ვნახე სახლში არ იყვნენ არც იპარსი ჭ არც იმისი ცოლი ჭილოკლეი. მარტო ჰალესტრა დამხვდა სამხარეულოში, სადაცა საჭმელს აკეთებდა. რასაკვრველია კარგი შემთხვევა იყო ეს ჩემთვის ჭ დაუწეე სიუჟარულის გამოცხადება.

—რა მშუწნიერი სანახავი ხარ ჰალესტრა, ახლა, ამ დროში, როდესაც რომ აგრე სერსიანად ჭ სისუფთავით აკეთებ საჭმელებს. უნდა იცოდე თუ რასა ვგრძნობ ახლა, შენთან რომ ვარ ასე მკონია ოლიმპის მთასედა ვარ მეთქი. ოჰ, რა მშუწნიერება იქნებოდა ჩემთვის, რომ თითითაც არი შემოგესო; შემოგესო შენს დაბროწილს ღოუებს.—

—აბა ერთი სცადე!.. მაშინ ნახავ თუ რა სერსიანად ვაკათებ საჭმელებსა!... შემომესე, ერთ-ერთი ქებაი, მაშინვე შიგ შუბლში გეცემა!

— უჰ, რა კაზასი ეოფილსარ! ნუ მიუურებ აგრე გაჯავრებით მშუწნიერო ჰალესტრა!. ღმერთებს შენ აფთრად არ დაუბადებისართ. ეოულად-შემძლებულს ვენერას ეოველი კეთილი მოუცია შენთჳს. ნუ თუ ბოროტად მოისმარებ იმისაგან მოცემულს კეთილს, იმის სარწმუნო შეილსედ?

— მე მკონია მოწუალეო კელმწიფეო, შენ როგორ-დაც ღმერთების წინააღმდეგი ხარ?.. შენ დასცინი იმათ!

— თავის დღეში საეჭარელო ჰალესტრა, მე ღმერთები მრწამს, თუ გინდა ამას დაგიმტკიცებ?.. მე ვნახე თქვენს ბაღისში, გამოქანდაკებული სწილენმისაგან, ღმერთა კუზიდონი. წავიდეთ ჰალესტრა, მივართვათ იმას მე ჰ შენ ერთად მსხვერპლი! აი, თუნდა ეგ მომწვარი ვარია.

— მომწვარი ვარია, სამღრთოდ მიუტანოთ კუზიდონს?... არა, სად გავინილა, მიართვან სამღრთოდ მომწვარი ვარია, უკვდავს ღმერთა კუზიდონს? შენ ფილოსოფოსი ხარ გეტუობა, უღმრთოვ, ურიავ!.. როგორ არ გეშინიან სუმრობ იმ დიდ ღმერთსედ, რომელსაცა ჩემი ქაღბატონი ეოველ დილით თაუვანსა სცემს დიდის მოწიწებით?... მოიცა, ნახამ შენ, თუ როგორ დავსჯის! წადი აქედან, წადი ჩქარა, გაიქეცი აქედან, მინამ გონება არ დაგიკარგავს. თუ სიცოცხლე გინდა ჩქარა გაიქეცი. ხომ მხედავ, როგორ მრთელი სხეული ჩემი, ცეცხლის ალით არის მოცული, თუ ასლო მომეკარები, კუზიდონი ამასა იქს, რომ სრულებით დაიწვები ჰ ვე-

ღარც მომშორდები. მაშინ ველანოვინ ვერ მოგარჩენს, — ვერც თუ ესკულაპი! მარტო მევე ვეყოფი რომ აგრე ცოცხლად დაგწო. საშინელს მტკივნეულებას გავიჩენ ზ რამდენიც მოისურვებ განთავისუფლებასა, იმდენი მტკივნეულება უფრო ზ უფრო მოგემატება, რამდენსაც მოშორებას მოინდომებ ჩემგან, იმდენი უფრო ახლო მოგვეკვრები; რამდენსაც ქუას გესვრი, ვერც ერთი ვერ აცვილდება! რა საჭირო არის დაცინება; კუზიდონი უოჯლის შემძლებელია! იქნება კიდევ იმან ამაძირჩია, რომ გადაგისადო იმისი შეურაცხება!.. კეშინოდეს!... ვისაცა მხედავ, ისეთი ხელოვანია, რომ შენისთანა კაცისაგან, ათას ფერს საჭმელს გააკეთებს! ერთს ნაირს საჭმელს კი არ ვაკეთებ, ჩემხედ უკეთესად მრთელს საბერძნეთში კაცს ვერაუინ დაჭკლავს. შემძლიან გავხადო ტეავი, დავჭრა წვრილ ნაჭრებადა, გაუჭრა გული ზ მოვხრაკო ერბოში... აი, თითონ ამ ბუსარში!..

—ას! ჰალესტრა, მაგას მართალს ანობ! იუპიტერისა მოწამე რომ, თუმცა ახლო არ მომკარებიხარ, მაგრამ შორითგანვე დამწვა შენმა მშენიერებამ, უხილავად ისეთი ალი მამხვდა შენგან, რომ შემივარდა თვალებში, ჩამივარდა გულში ზ მწვამს. კუზიდონს ზ ვენერას გაფიცებ, მომარჩინე, იმ წამლით, რომელიცა ტებილიც არის ზ მწარეცა!.. აჰ, ნულარ გადასდებ ხვალისათვის, დამკალი, გამხადე ტეავი, თუ რომ კესიამოვნება...

ჰალესტრამ გაიკასკასა, მაგრამ ამ სიცილში ბუერი სინაზე იყო.

—სომ ხედავ უფალო ფილოსოფოსო, კუპიდონთან ხუმრობა არას ვარკებს!.. საკვრველი ვადაძმდელი დმერთია!

უცვებ მივარდი ამ დროს ზ ვაკოცე ვარდის ფერ ტუჩებში.

—ეს რა ანბავია? დაიუვირა იმან, ვითომ ზ სიძულელით

—იმ კუპიდონმა, რომელიცა ვადაუხდის კაცს, საუქარულო ზალესტრა, გელი მკრა უკანითგან ისე ძლიერად, რომ უგონოდ გამოფურინდი შენკენ.

ამ დროთგან შევიქენით საუქარლები.

—ზალესტრა! საუქარულო შეგობარო! უთხარი მე. მომეცი შემთხვევა ვნახო შენი ქალბატონი იმ დროს, როდესაც ჯადოქრობით ვადაიქცევა სოლმე ზირუტევათ. დიდი ხანია მსურს ეს საკვრველება ვნახო, ზ თუ შენ თითონ იცი რამ ამ კვარი, ჩემ თვალწინ ვადაიქეცი რამ ზირუტევად. შენ გამოცდილი ხარ ამ საქმეში, ბევრისგან შემიტეგია ესა, თორემ თუ ეს ასე არა ფოფილიყო, როგორ მიიხიდა, შენის მისნობით ჩემი გული, მაშინ როდესაც რომ ჩემ სიცოცხლეში არავინ მევარებია.

—კარგია შენ ეშმაკო! მითხრა იმან. რა მისნობა უნდა სიუქარულსა? კუპიდონის ნება როდესაც არის, სიუქარულიც მაშინ იბადება! რაც მე შემეხება, მისნობისა სრულებით არა გამეკებარა, კეფიცები ჩემ თავსა ზ ვუფიცავ შენს ბედნიერებას, რომ მე სრულებით არა ვიცირა! ჩემი ქალბატონი ძრიელ ეჭვიანი არის თავის

ველოუნებაში. ღ რამწავს მომეცემა შემთხვევა, ყოვლის
ლონის-ძიებით ვეცდები, გიჩვენო, როგორც გადაიქცევა
ხოლმე სსუა გვარ ცხოველად.

გაიარა რამდენმავე დღემ.

ერთხელ ჰალესტრა შემოვიდა ჩემს ოთახში ღ მი-
თხრა, რომ ამაღამ ჩემი ქალბატონი უნდა გადაიქცეს
ფრინულათა ღ გაფრინდეს ერთ-ერთ თავის საუქარულ-
თანაო.

—საუქარულო ჰალესტრა! ამავედ უკეთესი შემთხვევა
არ მექნება, ღ გთხოვ მაჩვენო როგორმე.

—უეჭველად ვეცდები.

როდესაც დაღამდა, ის მოვარდა ჩემთან ღ მიმიყვანა
იმ ოთახთან, სადაცა იძინებდა იმისი ქალბატონი. აქ
მაჩვენა ერთი ჯუჯრუტანა, კარების ფიცარში, საიდანაც
დაუწვევ უურება.

უურება, ეს ჩუწნი უფალა სახლის ჰატრონის ცოლი
ქილოკლეი, ისდის ტანისამოსსა, როცა გაისადა, მი-
ვიდა ანთებულ ლამჰასთან, ღ შედ დაწვა ორი რალაგა
მარცვალის სორბლის ოდენი. აქ იღვა რამდენიმე ხანი
ღ რალასაც ბუტბუტებდა. მერე გააღო დიდი ზანდუკი,
სადაც ეწეო მრავალთ-უმრავლესნი წამლის შუქები, სა-
იდანაც ამოარჩივა ერთი.

ამ შუქში იღვა რალაცა ზეთის მკვავისი ნივთიე-
რება. ქილოკლეიმ გადმოისსა კელსედ ღ წაისვა ეს
ზეთი მრთელს ტანსეა: უცებ, ვნახოთ რომ, ტანს ბუნ-
ბული შეესსა, ჩემ თვალთ წინ, ცხვირი გადაექცა ნის-

კარტათ, ერთის სიტყვით შეიქნა ბუ, რომელიცა გაფრინდა ფანჯრითგან. —

მე ეს სისმარი შევონა. ვისრისე თვალები, ცხვირი და ბოლოს დავრწმუნდი რომ სისმარი არ იყო.

შვეხვეწე ჰალესტრას, ეს მასი ჩემთვისაც ეძივნა; წაესვა ტანსუდ, რომ ეგები მეც ეს ფრინველი გავმსდარეიყავი. მინდოდა დავრწმუნებულიყავი, თუ ამ გვარად გადაქცევა როგორ იმოქმედებდა ჩემს სულსუდ, სასიამოვნო იქნებოდა შემეტყო, თუ რა სასიით დაიწყობდა ფილოსოფიასუდ სჯას მინერვას ფრინველი. —

ჰალესტრამ წენარა გააღო კარი, შევიდა და გამოძიანა ერთი შუშა, რომ დრო აღარ დაშეკარგა, დავისი ის სუთი კელის გულსუდ, რა გავისადე ტანთ, და მრთელს სსეულსუდ წაუისვი. ოჰ, საკვრეულებათ! ნეტა რა წუეული საათი იყო, რომ ეს სულელობა ჩაუიღინე. უცებ ვნახე, რომ ვიცვლები.... მაგრამ ფრინულათ კი არა... უცებ სად იყო და სად არა, გამოძება გრძელი გუდი, არ ვიცი, რა დაემართა ჩემ კვლების თითებს, სუთის თითის მაგიერ, გამისდა ოთხი, ისიც ძვლისა. კელი და ფესები შემეცვაღნენ, რაღაც საპალნის ჰირუტკვის ფესებად. **წერები** გამიგრძელდა; ჰირისასე გამიწოწოლდა. რას ვსედავ!... უცებ შევიქენი ვირი, საით მსრითგან არ გინდათ რომ არ გავსინჯე ჩემი თავი, მაგრამ თქვენს არ მაძიკუდეთ! სწორეთ ნამდვილი ვირი შევიქენი!.. როგორ? მე? ფილოსოფოსი. ისტორიკოსი, რეტორი და გრამმატიკოსი, ვირი ვარ? — მე, რომელსაცა დამიწე-

რია მრთელი კაცობრიობის ბუნების შესახები სტატია; რომელსაცა მსურდა დამეფუძნებინა ფილოსოფიის ჭრიტორიის სსოლა; რომელმაცა ვზოვე ათი შეცდომა კომერის უკვდავს ქმნილებაში; რომელმაცა დაუამტკიცე ჭეშმარიტებით რომ ალექსანდრე მაკედონელი თავის დღეში ინდოეთში არა ეოფილა;— მე, — ახლა ვარ ვირი? ოჰ, არა, ეს შეუძლებელია! ჭ რომ არ იქნება!... წარმოიდგინეთ, თუ რა დაუჯვრებელი ანბავი იქნება, ეს რომ შეიტკონ ათინაში, ან კიდევ ალექსანდრიაში?.. არც ერთი მსწავლული ამ საქმეს არ დაიჯვრებს!... მე მინდოდა ეს საშინელი უბედურება შემეჩივლა ჰალესტრასათვის, მაგრამ ნაცვლად კაცის სმისა, დავიუროეინე; მერე ჩავქონდრე შეწუსებულმა თავი, ეურები ძირს დაუშვი, იმის ნიშნად, რომ ჰალესტრამ ასეთი უსვინიდილობა როგორ მიეო ჭ რას შემართლებოდა.

— ახ! მე უბედური! დაივირო ჰალესტრამ, რა შემოიკრა კელი, ეს რა შეცდომა მომივიდა, — ნაცვლად იმ წამლისა, რომელიცა ფრინულად აქცევს კაცსა, სსუა წამალი გამომიტანია რა ვქნა, ეს წეული წამლები სულერთმანერთსა ჭკავს! მაგრამ ნუ შეგეშინდება ჩემო საეუარელო, მაგისი წამალი არის, რამდენიმე ახლად გაშლილი ვარდი რომ შეჭამო, ისევე კაცად გადაიქცევი, ისევე რიტორი იქნები; ისევ ის ფილოსოფოსი, ისევე ისე, ჩემის გულის მფლობელი, მსთლოდ ეს არის, მინამ გათენდებოდეს, უნდა მოთმინება იქონიო, საწეალო ლუკავ! ახლა ბაღჩა დაკეტილი არის ჭ გასაღები ქალ-

ბატონსა აქეს, ამ ღამეს აგრე როგორცა სარ, ვირი იუაუი სვალ დილა ადრიან ქალბატონს ვასაღებს ვამო-
ვართმევ, დაგიკრებ ახლად გაშლილს ვარდებს, მოგიტან, გაჭმევ ზე ისევე კაცი ვასდები.

ამას რომ მიუბნებოდა. თავის რბილს კელს მისომ-
და თვალეზედ, ყურეზედ ზე სურგსედ, რომელიცა, რო-
გორც ნამდვილი ვირი, საცოდავათ ვიდექი ოთხ ფეს-
სედ იმის წინ!... მაგრამ ეს კი უნდა მოვასწენოთ, ბა-
ტონო მკითხველო რომ, გრძნობით, გონებით მეცნიე-
რებით ისევე ის ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, რიტო-
რი ზე გრამმატიკოსი ვიუაუი.

—ას! ღმერთო! ვვიროდა ზალესტრა! მოდი ჩემო
გულო, ჩემო კუჭო თავლაში, თორემ მაგ შენ ჩლიქე-
ბით, სრულებით წაასდენ ამ მკირფას ეიხილბაშურ სა-
ღებს!.. მერე ჩემი ქალბატონი, კაპასი ქალი არის!..
მოდი, მომევი, მომევი ჩემო საყუარელო!

—ზალესტრა! ჩემო ღმერთავ! იცი რა გითხრა!.. ეს
მასი შენც წაისვი ზე შენც ფაშატ ვირად გადაიქცეი,
კამპანიისათვის მანც. აბა მარტო მე რა ვქნა? ერთად
წავიდეთ მაშინ თავლაში. მაშინ უფრო მსიარულად ვი-
ქნებით!

—მაგას რას ანობ ლუკა! სომ არ ვაგიუდი! მეც
რომ ვირად გადავიქცე, სვალ დილით ბადრის კარს ვინ
გასაღებს?.. გასწი თავლისაკენ მარტო შენ ჩემო მეგობ-
არო! კარგია ზე ჩქარა! ნუ კარგავ დროსა!

რა ვწუვლიდი ზალესტრას ქარიანობასა ზე ვიმ-

ტვრევიდი რა თან კბილებს, მეტი ვსა არ იყო, გავუ-
 მართე თავლისაკენ, სადაცა ებნენ ასურთან ერთი ჩემი
 ცხენი და მეორე ბუნებითი ვირი იპარხასი, რამწავს იგ-
 რძნეს ჩემი მისულა მესობლად, იმ წამსვე შიშისაგან,
 რა არის საჭმელი არ წაკვართვასო, იცქვიტეს ურუბი
 და მოიმსადეს უკანა ფეხები, ჩემს მოსაგერებლად. მე ეს
 შეფნიძნე და მაშინათვე მოვშორდი რა იმათ ასურს, მი
 ვიძალე კუთხეში. აქ, მწუსარებისაგან, უნდა გამომეთქვა,
 ჩემი უბედურება და ნაცვლად ამის, საშინელის სმით
 დავიუროყინე, «ეს რა დასაღუწავი უბედურებითი შემთ-
 ხვევა მომეცა,» — ვუიქრობდი მე, როდესაც გონებასედ
 მოველი; რა მომივიდოდა, ახლა რომ ბეგლი შემო-
 სულიყო აქ თავლაში, ან კიდევ რომელიმე მტაცებელი
 ზირუტყვი..... და მე.... მე, რომელსაცა არავისთვის ბო-
 როტი არ მიქმნია, ლუკმა ლუკმად მაქცევდნენ: ვუიქ-
 რობდი ამ შესაძლებს ჩემს თავსედ მოსაფაღს და ისკი
 არ ვიცოდი, რომ უფრო მეტი უბედურებები წინ მედგა
 მე საცოდავი და უბედური!...

ღამე იყო ბნელი: ეველგან სინუმი; ის საათი მო-
 ვიდა, რომელს საათსაც ძილი ტკბილი არის კაცისა-
 თჯს და ღრმაცა. უცებ შემომესმა კედლითგან ბრასა-ბრუ-
 სი, თითქოს ანგრევენო, მართლად და აქცევდნენ! მერე
 ფანსე, რომ კედელი გამოხვრიტეს და ვიღაცა შემომზრა,
 ამას მოჭევა მეორე, მესამე და მრთელი თავლა გაიფსნენ
 ქურდებითა. ესენი ზირველად შესულნიყვნენ, სახლის ჰა-
 ტრონისას, შევერათ თოკით იპარხსი, ჰალესტრა, ერთიც

